

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების პროცედურები

(რეკომენდებული მოდელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის)



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2018 წ.

დოკუმენტი ეფუძნება ერთი მხივ, ლიტერატურის მიმოხილვას და მეორე მხრივ, ტრანზიციის პროცესის პილოტირების შედეგად მიღებულ გამოცდილებას თბილისის N198 და N21 და მცხეთის N1 საჯარო სკოლებში, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ აღნიშნული სკოლების ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერაში ჩართულ სპეციალისტებს, თავად მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

დოკუმენტის ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაცია
- მასწავლებლები
- ინკლუზიური განათლების მხარდაჭერაში ჩართული სპეციალისტები
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლები
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი

შინაარსი

ტრანზიციის პროცესის მიმოხილვა.....2

ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის რეკომენდებული სახელმძღვანელო პრინციპები4

 მოსწავლე - აქტიური მონაწილე.....4

 ოჯახი - ჩართული პროცესში.....5

 თანამშრომლობა დაწესებულებებს შორის.....7

 პროცესი: მოქნილი, მხარდამჭერი9

ტრანზიციის პროცესის დაწყება/ინიცირების პროცედურა10

კონსულტირება მცირე ჯგუფებში და ინდივიდუალურად.....14

პროფესიული ვიზიტის დაგეგმვა15

შეჯამება15

დანართი - ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა16

ტრანზიციის პროცესის მიმოხილვა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სავალდებლო განათლების საფეხურიდან შემდეგ საფეხურზე გადასვლა - ტრანზიცია, საუკეთესო შემთხვევაში, ხანგრძლივი, ინდივიდუალურად დაგეგმილი პროცესია.

მოსწავლეთა ასაკობრივი დიაპაზონი, რომელსაც ტრანზიციის პროცესი მოიცავს, საკმაოდ მრავალფეროვანია და ყოველ ეტაპზე სხვადასხვა ამოცანას უსახავს მოსწავლეს.

ტრანზიციის პროცესი, განსხვავებული ინტენსივობით, მოსწავლის მიერ ერთი მხრივ, იმის გარკვევას გულისხმობს, თუ რის გაკეთებას აპირებს ცხოვრებაში სკოლის დასრულების შემდეგ (სწავლის გაგრძელება საშუალო/პროფესიულ/უმაღლეს საფეხურზე ანდა დასაქმება), მეორე მხრივ, საკუთარი შესაძლებლობებისა და პოტენციალის აღმოჩენასა და განვითარებას. შესაბამისად, თანაბრად მნიშვნელოვანია სკოლის გარეთ არსებული საქმიანობების ფართო სპექტრის გაცნობა და მომავალი მიზნების ფორმირების პარალელურად, ამ მიზნებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მუშაობა, როგორც შეიძლება იყოს ეფექტური კომუნიკაციის, დროის მართვის, გუნდურობის, პასუხისმგებლობის ალების, არჩევანის გაკეთების და ა.შ. წამახალისებელი აქტივობები.

ეროვნული სასწავლო გეგმის (2011-2016) მიხედვით, განათლების საბაზო საფეხურის (VII-IX კლასები) ძირითადი ამოცანებია:

- დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში;
- შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობა სწავლის გასაგრძელებლად, ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად.

ამ საფეხურის მიზნები სრულად ეხმიანება ევროპული სააგენტოს (2006) რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანზიციის პროცესის ინიცირება, საუკეთესო შემთხვევაში, სავალდებულო განათლების დასრულებამდე 3 წლით ადრე უნდა დაიწყოს.

შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ განათლების საბაზო საფეხურს ძირითად ვექტორად გასდევდეს საფეხურის ამოცანები, რათა საფეხურის დასრულებისას მოსწავლემ შეძლოს მიიღოს ინფორმირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელებისა (საშუალო თუ პროფესიულ) თუ შრომით ბაზარზე გადასვლის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და მშობლების უმრავლესობას სავალდებულო განათლების შემდეგ სწავლისა თუ მუშაობის გაგრძელების პროცესის დაგეგმვაში მხარდაჭერა სჭირდება. ერთი მხრივ ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსწავლეებს და მათ ოჯახებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შესაძლებლობები არსებობს სავალდებულო განათლების მიღმა და როგორ შეიძლება ამ შესაძლებლობების წინასწარ გაცნობა; მეორე მხრივ, ხშირად, მათ არ აქვთ საკმარისი, ნათლად ჩამოყალიბებული ინფორმაცია საკუთარი თავის/ოჯახის წევრის ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ.

შესაბამისად, ინდივიდუალური ტრანზიციის პროცესში განათლების სისტემის მხრიდან თითოეულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან ერთად აქტიური მუშაობაა აუცილებელი ტრანზიციის ინდივიდუალური გეგმისა და პორტფოლიოს შემუშავებაზე (Nova Scotia, 2005) სამი ძირითადი მიმართულებით:

1. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების გაცნობა - სხვადასხვა პროფესიისა და სასწავლო პროგრამის გაცნობა გასვლითი ვიზიტებითა და სკოლის სივრცეში ორგანიზებული აქტივობებით (მაგ.: მოწვეული სტუმრების დახმარებით პროფესიის არჩევის, დაუფლებისა და წინსვლის პირადი ისტორიების გაცნობა; ვიზიტები დასაქმებისა და პროფესიული სწავლების ადგილებში და სხვა)
2. მოსწავლის ინტერესების გამოკვლევა - ინტერესებისა და ძლიერი მხარეების გამოვლენასა და საბაზო აკადემიური და წინა-პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული შემოქმედებითი, სპორტული და სხვა აქტივობების გამოყენება
3. მოსწავლის სწავლა-სწავლების საუკეთესო სტრატეგიებისა და მიღწევების განსაზღვრა - კონკრეტული სკოლისთვის შესაბამისი და გამოსადეგი 2-3 განსხვავებული სამუშაო ინვენტარისა და მასალის რუტინული გამოყენების გამოცდილების უზრუნველყოფა მოსწავლეებისათვის (მაგ.: მცენარეების მოვლა, სასწავლო მასალის შექმნა/გამრავლება და ა.შ.), რათა პრაქტიკულად გამოჩნდეს მიღებული გამოცდილების შედეგები: უნარ-ჩვევის დაუფლება, პასუხისმგებლობის აღება, თანამშრომლობა, სამუშაო გარემოს ორგანიზება და ა.შ.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის რეკომენდებულია მუშაობისას შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინება:

- მოსწავლის აქტიური მონაწილეობა
- ოჯახის ჩართვა
- დაწესებულებებსა და უწყებებს შორის თანამშრომლობა
- პროცესის მოქნილობა

ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის რეკომენდებული სახელმძღვანელო პრინციპები

მოსწავლე - აქტიური მონაწილე

პრაქტიკამ აჩვენა, რომ VII-XII კლასის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ინტერესდებიან სკოლის შემდეგ ცხოვრების დაგეგმვის პროცესით, ზოგიერთ მათგანს (მე-7 თუ მე-12 კლასელს) უკვე აქვს ჩამოყალიბებული მოსაზრება მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ (მაგ.: ავტომობილის შემკეთებელი, სამკაულის დიზაინერი, ფარმაცევტი ა.შ.), ზოგიერთს კი, ამაზე ჯერ არ უფიქრია. მიუხედავად ამისა, მოსწავლეები ერთვებიან ისეთ აქტივობებში, რაც ერთი მხრივ საკუთარი თავის, ხოლო მეორე მხრივ, მათ გარშემო არსებული პროფესიული კონტექსტის შესწავლას გულისხმობს. გამოცდილებამ ასევე აჩვენა, რომ მოსწავლეები საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენენ პროფესიულ სასწავლებელში ვიზიტის მიმართ და ვიზიტის შემდეგაც საუბრობენ მიღებულ გამოცდილებაზე.

იმისათვის, რომ აღნიშნული პროცესი თანმიმდევრული იყოს და საბოლოოდ მოსწავლე ინფრომირებულ გადაწყვეტილებამდე მიიყვანოს, როგორც წესი საჭიროა მოსწავლეების დახმარება ისეთი მეთოდებით, როგორცაა მოსწავლეზე დაკვირვება, რეფლექსიის წახალისება, საკუთარი პორტფოლიოს წარმოების პროცესში ჩაბმა.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ტრანზიციის პროცესი, რომელიც პროფესიების სპექტრის გაცნობასაც მოიცავს და საკუთარ თავში გამორკვევასაც, ასევე იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც სამომავლოდ დაეხმარება მოსწავლეს სწავლის გაგრძელებასა და დასაქმებაში, როგორც წესი სკოლებში განიხილება საგანმანათლებლო პროცესისგან დამოუკიდებელ, მოწყვეტილ საკითხად. იმისათვის, რომ ტრანზიციის პროცესზე მუშაობა ლოგიკურად ებმოდეს საფეხურის მიზნებს, სასურველია მისი თითქმის ყველა კომპონენტი ჩაშენებული იყოს სასწავლო პროცესშიც. აღნიშნული თავის მხრივ, პროცესში დამრიგებლების და მასწავლებლების აქტიურ ჩართვას გამოიწვევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხშირია ექსკლუზიის, დამატებითი სამუშაოსა და არაეფექტურობის პრეცედენტები. გასაძლიერებელია ბმა საგნებსა და ამ საგნების მიმართებას შორის სამომავლო პროფესიებთან/მიმართულებებთან.

ზედა კლასებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის არჩევანის შესაძლებლობის გაზრდა: საგნების არჩევის, კონკრეტულ სასწავლო მიზნებზე მუშაობისათვის კონტექსტის შერჩევის (შესაძლებლობის მინიჭება პრაქტიკის თუ დასაქმების ადგილზე მიაღწიონ სასწავლო შედეგებს), რათა უფრო თანმიმდევრულად და ნათლად გამოიკვეთოს მოსწავლის მიდრეკილებები, ინტერესები და მიღწევები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს საკითხი სპეციალიზებულ სკოლაში, სადაც

მოსწავლეები როგორც წესი სკოლაში 12 წელს ატარებენ და ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ სავალდებულო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს იღებენ. შესაბამისად, რეკომენდებულია რომ განათლებლის მიღების ბოლო 3 წელი საგნების არჩევის შესაძლებლობასაც მოიცავდეს.

გასათვალისწინებელია ის გამოწვევაც, რომ მოსწავლეების გარკვეულმა ნაწილმა არ იცის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა. შესაბამისად, მშობელიც და სკოლის გუნდიც თავს არიდებს მათ ჩაბმას ისეთ აქტივობაში, რაც არ არის კავშირში საერთო კლასის აქტივობებთან და მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის იგეგმება. ზედმეტი დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, ტრანზიციის პროცესზე მუშაობის აქტივობები მთელი კლასის დაინტერესებული მოსწავლეებისთვის შეიძლება დაიგეგმოს, რაც თავის მხრივ, ნებისმიერი მოსწავლისთვის განსაზღვრულ საფეხურის მიზნებს პასუხობს.

რეკომენდებულია პროფესიული პორტფოლიოს შესაქმნელად მოსწავლეებისთვის მარტივი ფორმებისა და ინსტრუქციების შემუშავება, რომლითაც მოსწავლეს და მასწავლებელიც/სპეციალისტიც ადვილად იხელმძღვანელებს. მოსწავლეების სასწავლო პროცესის მჭიდროდ დაკავშირება ტრანზიციის მიზნებთან, მოსწავლის აქტიური მონაწილეობისა და არჩევანის წახალისება.

გასათვალისწინებელია, რომ გუნდური შეხვედრები, რომლებიც მე-7 კლასამდე ძირითადად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხილვებს ეძღვნება, მე-7 კლასის შემდეგ, აუცილებლობით მოსწავლის მონაწილეობასაც გულისხმობდეს. აღნიშნული განსაკუთრებულ, ფაქიზ და გააზრებულ დაგეგმვას მოითხოვს, რაც შეიძლება შეხვედრის ფორმატის ცვლილებასაც მოითხოვდეს. მნიშვნელოვანია, პროცესის უზრუნველყოფა სხვადასხვა საჭიროების გათვალისწინებით. ზოგიერთი მოსწავლის შემთხვევაში, განსაკუთრებით აუტიზმის სპექტრის მდგომარეობისას, შეხვედრა ვიწრო წრეში შეიძლება დაიგეგმოს.

ოჯახი - ჩართული პროცესში

გამოცდილებამ აჩვენა ტრანზიციის პროცესში ოჯახის აქტიური ჩაბმის აუცილებლობა, რაც ლიტერატურითაც არის გამყარებული (Nova Scotia, 2005). მშობლების ჩართვის მიზნით შეიძლება გამოყენებული იყოს მშობლებთან საერთო და ინდივიდუალური საინფორმაციო შეხვედრები; სკოლამ შესაძლოა მშობლებისთვის ტრანზიციასთან დაკავშირებული საინფორმაციო კითხვარებიც შეიმუშაოს; დაინტერესებული მშობლები

პროფესიულ სასწავლებელსაც შეიძლება ეწვიონ, სადაც მათთვის საინტერესო კითხვების დასმის და მათზე პასუხების მიღების და პროფესიული სასწავლებლების გარემოსა და პროგრამების გაცნობის შესაძლებლობა ექნებათ.

როგორც სკოლის, ასევე პროფესიული სასწავლებლების სპეციალისტების აზრით, მშობლების ჩაბმა პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. მათი გამოცდილებით, მშობლები რომლებიც სკეპტიკურად არიან განწყობილი პროფესიული განათლების მიმართ, ნანახით ინტერესდებიან, იცვლიან დამოკიდებულებას პროფესიული განათლების მიმართ და გაცილებით რეალისტურად უყურებენ სიტუაციას, ხედავენ დარგების გაცილებით დიდ არჩევანს, იღებენ ინფორმაციას პროფესიულ სასწავლებელში არსებული მომსახურების, ჩარიცხვისა და დაფინანსების წესების შესახებ.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ამართლებს მშობლების აქტიური ჩაბმა ტრანზიციის პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში: მათი მოლოდინების განსაზღვრა, ინფორმაციის ორგანიზებაში და ვიზიტებში მონაწილეობა. მშობლებისთვის გადამწყვეტია იმ გარემოს ნახვა და ატმოსფეროს გაცნობა, რომელიც პროფესიულ სასწავლებელშია. მშობლებთან ურთიერთობისას უკიდურესად მნიშვნელოვანია ღია მიდგომის თანმიმდევრული გატარება, რადგან ხშირია ერთი შეხედვით არათანმიმდევრული მოქმედებები, რომლის ახსნის სურვილი ან მზაობა ოჯახს შეიძლება არ ჰქონდეს სკოლის სპეციალისტებთან. როგორც წესი, ოჯახთან მუშაობისას საკმარისი დროის გამოყოფა საჭირო იმისათვის, რომ ოჯახი გაიხსნას და სრულად ჩაებას თანამშრომლობაში. შესაბამისად მნიშვნელოვანია სასწავლო დაწესებულებებში არსებობდნენ ისეთი სპეციალისტები, რომლთა პროფესიული კომპეტენციებიცაა: რაპორტის დამყარება, მოპოვებული ნდობის შენარჩუნება ხანგრძლივი დროის მანძილზე, ოჯახის ინტერესების სიღრმისეული გაგება და სამუშაო გეგმის მორგება თითოეულ ოჯახზე, ამ პროცესში დროის პატივისცემა და ემოციური წონასწორობის დაცვა. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მოსწავლის ინტერესების სიღრმისეული წვდომა, წინ წამოწევა და ოჯახის განათლება ამ მიმართულებით, იმ შემთხვევაში თუ ოჯახისა და მოსწავლის ინტერესები განსხვავებულია ერთმანეთისგან. შესაბამისად, რეკომენდებულია სპეციალისტების მომზადება ისე, რომ მათ შეძლონ პროფესიონალური მხარდაჭერის გაწევა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვა.

რეკომენდებულია ტრანზიციის პროცესის ინიცირებისას ოჯახის წევრების ინფორმირება და ჩართვა პროცესში (მოლოდინების გაზიარებაში, ინფორმაციის შეგროვებაში, შეხვედრებში მონაწილეობაში, პარტნიორების მოძიებაში); ოჯახებთან მუშაობისთვის კი, სკოლის სპეციალისტების შესაბამისი მომზადებაა აუცილებელი ადგილზე პრაქტიკის ფარგლებში.

თანამშრომლობა დაწესებულებებს შორის

აღნიშნულ პროცესში აუცილებელია შედგეს ეფექტიანი თანამშრომლობა არა მხოლოდ სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის, არამედ ყველა იმ უწყებას შორის, რომელიც, კონკრეტულ სიტუაციაში, შეიძება მოსწავლის საუკეთესო ინტერესს უკავშირდებოდეს.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ყველაზე ეფექტიანი და შედეგებით მარტივად წასახალისებელი გამოცდილება, სკოლებისა და პროფესიული/უმადლესი განათლების დაწესებულებების დაკავშირება და ერთობლივი აქტივობების წახალისებაა: ორმხრივი ვიზიტები, ერთობლივი პროგრამების შექმნა, მასტერკლასები და ა.შ. თუმცა, გადამწყვეტი ამ პროცესში ერთობლივი აქტივობების წინასწარ, სათანადოდ დაგეგმვაა. სკოლასაც და პროფესიულ სასწავლებელსაც უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო იმისათვის, რომ მიზნობრივი ვიზიტი სათანადოდ დაგეგმოს: პირველ რიგში, უპასუხოს მოსწავლის/ების საჭიროებებს, იყოს უსაფრთხო და სასარგებლო არსებული თუ პოტენციური სტუდენტებისათვის; ასევე, პროცესი იყოს მოსახერხებელი პროფესიული მასწავლებლებისა და სპეციალისტებისათვის სამართავად. ასეთ შემთხვევაში, ვიზიტი მეტად პროდუქტული გამოვა ყველა მხარისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ სკოლის მხრიდან მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ის, თუ რა კონკრეტული ამოცანით მიდის თითოეული მოსწავლე პროფესიულ სასწავლებელში, რათა პროფესიული სასწავლებელი შესაბამისად მოემზადოს და საპასუხო გეგმა შეიმუშაოს.

პროცედურის შემოთავაზებული ვარიანტი ამართლებს, თუმცა შემდეგი ნაბიჯია რუტინულად დაინერგოს საორიენტაციო პროცედურები, რაც გაამარტივებს პროცესს ორივე მხარისათვის. სკოლის დირექტორი ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ან/და დამრიგებლის ინფორმაციის საფუძველზე უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (ან გარკვეულ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) დირექტორს, აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობის შესახებ, და სთხოვს დეტალური დაგეგმვისთვის საკონტაქტო პირის გამოყოფას ვისთანაც დამრიგებელი ანდა ინკლუზიური განათლების სპეციალისტები ითანამშრომლებენ. სწორედ მათ იციან, კონკრეტულად რა გამოცდილების მიღებაა

საჭირო მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფისათვის: რამდენიმე მსგავსი პროგრამის სიღრმისეული გაცნობა, ზოგადი წარმოდგენის შექმნა დარგებზე, მოსწავლეების მიერ საკუთარი ნამუშევრების გაცნობა სპეციალისტისათვის და რეკომენდაციების მიღება სწავლის გაგრძელების შესახებ ან სხვა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ უნდა არსებობდეს ოფიციალურად შეთანხმებული, მარტივი გზა სკოლისა და პროფესიული სასწავლებლის თანამშრომლობისათვის. მაგალითად, შესაბამისი მიზნითა და „მაძიებლის“ სტატუსით ოფიციალური რეგისტრაცია პროფესიული სასწავლებლის ელექტრონულ გვერდზე; განსაზღვრული ვადები „ღია კარის დღეებისათვის“ შესაბამისად დაგეგმილი პროფესიული აქტივობებით და პრაქტიკული მოსინჯვის შესაძლებლობით სტუდენტების მიერ ორგანიზებული სადემონსტრაციო აქტივობები სკოლებში და ა.შ.

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაზე მუშობისას გამოვლინდა ისეთი გამოწვევები, რაც უკავშირდება პროფესიული განათლების კონტექსტში მიმდინარე ცვლილებებს, როგორცაა: შერჩეულ პროფესიულ პროგრამაზე მიღების არ გამოცხადება; პროგრამის საფეხურის ცვლა (III საფეხურის პროგრამების გაუქმება და პროფესიაში შესვლა მხოლოდ IV/V საფეხურის პროგრამით). შესაბამისად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ ამ ტიპის ინფორმაცია დროულად იყოს ხელმისაწვდომი პოტენციური აპლიკანტებისთვის. ხოლო მეორე მხრივ, მოსწავლეს/ოჯახს ჰქონდეს გააზრებული ასეთი შემთხვევების არსებობის პირობებში როგორია მისი/ოჯახის პოზიცია და რა პროგრამები შეიძლება იყოს მისთვის მისაღები პრიორიტეტების მიხედვით.

გარდა სკოლისა და პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლებს შორის მჭიდრო კავშირისა, პილოტირების პროცესში თავი იჩინა სოციალურ სამსახურთან თანამშრომლობის საჭიროებამ, მაგალითად მინდობით აღზრდაში მყოფ მოსწავლეებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეს საკითხი მოსწავლისათვის ოჯახის შეცვლის შემთხვევაში, რათა ადეკვატურად დაგეგმილიყო ინდივიდუალური ტრანზიციის პროცესი. რეკომენდებულია, უწყებებს შორის თანამშრომლობის გაადვილების მიზნით, სოციალური სამსახური ინფორმირებული იყოს საგანმანათლებლო სივრცეში ტრანზიციის პროცესების შესახებ.

რეკომენდებულია თანამშრომლობის მრავალფეროვანი ფორმატის არსებობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მეტად გამჭვირვალე ქსელის არსებობა პროფესიული განათლების შესახებ. მაგალითად, პროფესიული სასწავლებლების ელექტრონული გვერდების დახვეწა უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით; ინფორმაციის განთავსება იმის შესახებ თუ ვინ არიან საკონტაქტო პირები პროფესიულ

სასწავლებლებში, მხარდამჭერ მულტიდისციპლინურ გუნდში; რა შემთხვევაში და ვის შეიძლება მიმართოს სკოლამ ან ოჯახმა ტრანზიციის პროცესში მხარდაჭერისთვის; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მასალის ხელმისაწვდომობა სკოლისათვის, სასარგებლო ელექტრონული გვერდების გაცნობა/გაზიარება, ინფორმაციის მუდმივი და დორული განახლება, მომხმარებელზე ორიენტირებული და ხელმისაწვდომი (user friendly) ფორმატის შექმნა, რაც მარტივი ნავიგაციის საშუალებას მისცემს, პირველ რიგში, თვითონ მოსწავლეებს გაერკვნენ ამა თუ იმ სასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ მომსახურებებში.

პროცესი: მოქნილი, მხარდამჭერი

ტრანზიციის პროცესზე მუშაობის პრაქტიკა ასაბუთებს, რომ სხვადასხვა მოსწავლის შემთხვევაში განსხვავებული პროცესის წამოწყებაა საჭირო. მაგალითად, ზოგიერთი მოსწავლე ცალსახად ავლენს ინტერესს კონკრეტული პროფესიის მიმართ, მათგან ზოგიერთი რწმუნდება საკუთარ არჩევანში, ზოგიერთი აღმოაჩენს სხვა შესაძლებლობებს, ზოგიერთს უჭირს ჩამოყალიბება კონკრეტულ სფეროზე, ზოგიერთი მოსწავლის შემთხვევაში რთულია იმის განსაზღვრა ინტერესდება თუ არა რამით... შესაბამისად, ზოგიერთ მოსწავლესთან საჭირო ხდება მომიჯნავე დარგების დეტალური გაცნობა; ზოგიერთისთვის საქმიანობების სპექტრის ჩვენება; ზოგიერთისთვის, აქტივობების მთელ კლასთან დაგეგმვა, რათა დამატებითი სტიგმა ავიცილოთ თავიდან.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა ნაწილი არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მას ინდივიდუალური გეგმა აქვს გარკვეულ საგანში. მოსწავლეთა ნაწილი კი, აპროტესტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსს; მოსწავლეებმა შესაძლოა უარიც კი განაცხადონ ინკლუზიური განათლების კონტექსტში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობაზე. ერთი მხრივ, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ამ ასაკისათვის დამახასიათებელი თავისებურებები (გარდატეხის ასაკი); მეორე მხრივ, არსებობს რისკი, რომ მოსწავლე, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი შესაძლებლობების შესახებ ნაკლებ ინფორმაციას ფლობდეს. ინკლუზიური განათლების სპეციალისტების და მშობლების მოსაზრებით, ეს საკმაოდ ფაქიზი საკითხია, რასაც განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება.

სკოლებთან ტრანზიციისაზე მუშაობის პროცესში, ასევე გამოვლინდა სოციალურად დაუცველი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში გასათვალისწინებელი დამატებითი მომსახურებებისა და რესურსების საჭიროება, რამაც შეიძლება თავი იჩინოს და სათანადო ყურადღების არარსებობის შემთხვევაში უარყოფითად იმოქმედოს პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

მაგალითად, საკუთარი პროფესიული ფორმის შეკერვა, პირადი მოხმარების პროფესიული ინტრუმენტების შეძენა, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიული პროგრამის არსებობა სხვა რეგიონში (სირთულეები საცხოვრებელთან) და ა.შ. ამ შემთხვევაში საჭიროა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლების პროცესისათვის პროფესიულ სასწავლებლებში გამოყოფილი რესურსის მოქნილად გამოყენება მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, რასაც ადვოკატირებას რაც შეიძლება ბევრი მხარე უნდა უწევდეს (სკოლა, ოჯახი, პროფესიული, სოციალური სამსახური და სხვა).

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიულ პროგრამებს შორის არჩევანი არ იყოს განსაზღვრული ერთი მიმართულების ფარგლებში. იმის გამო, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, ხშირად მხოლოდ სავალდებულო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აქვთ, როგორც წესი განსაკუთრებით გართულებულია და თავს არიდებენ სხვა რეგიონში გადასვლას სასწავლებლად და ზოგჯერ აქვთ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე პროფესიის არჩევის შეზღუდვები, მათთვის პროფესიული პროგრამების არჩევანი ისედაც ვიწროვდება. შესაბამისად, რეკომენდებულია ჰქონდეთ სხვადასხვა მიმართულების პროგრამებიდან პრიორიტეტული სამი პროგრამის არჩევის შესაძლებლობა.

რეკომენდებულია უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე აგებული პროცესის შეთავაზება მოსწავლეებისთვის, რაც არ იქნება მხოლოდ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებთან დაკავშირებული. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია სტიგმის პრევენცია და ამავდროულად მოსწავლის პოზიტიურად და სრულად ინფორმირება საკუთარ შესაძლებლობებზე. გარდა ამისა, ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომისა და მომსახურებების დანერგვა და განათლების სისტემაში არსებული პერსონალის წახალისება იმუშაონ თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული და მორგებული მიდგომით.

ტრანზიციის პროცესის დაწყება/ინიცირების პროცედურა

მე-7 კლასი ქვეყანაში სავალდებულო განათლების ერთი საფეხურიდან მეორეზე, დაწყებითი განათლების საფეხურიდან საბაზო განათლების საფეხურზე, გადასვლის დასაწყისია. ეს საფეხური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილების ეტაპია, რომელსაც ხშირ შემთხვევაში თან ახლავს: დამრიგებლის ცვლა, ახალი საგნებისა და მასწავლებლების გაცნობა.

რეკომენდებულია გადასვლის ეს ეტაპი მიჩნეული იყოს ტრანზიციის პროცესის დაწყების მომენტად, როდესაც ერთი მხრივ მოსწავლე და ოჯახი, ხოლო მეორე მხრივ, სკოლის პედაგოგები და სპეციალისტები რესურსების მობილიზებას ახდენენ, რათა მოსწავლეს მომავალი ცხოვრების განსაზღვრის პროცესში დაეხმარონ.

დამრიგებლების როლი ამ პროცესში გადამწყვეტია. პირველ რიგში იმიტომ, რომ მოსწავლეები ამ ასაკში განსაკუთრებით არიან მგრძობიარე ყველაფერი იმის მიმართ, რაც მათ განსხვავებულს ხდის და ურჩევნიათ პროცესი კლასელებთან ერთად მოიაზრებოდეს ვიდრე განცალკევებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ ტრანზიციის პროცესზე მუშაობა იყოს მოქნილი და მრავალფეროვანი: როგორც კლასთან, ასევე მცირე, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფთან ერთად ან/და ინდივიდუალურად.

ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისათვის რეკომენდებულია, რომ ყველა მე-7 კლასის **დამრიგებელმა** სადამრიგებლო საათის დროს წარადგინოს საბაზო განათლების საფეხურის მიზნები და შესაბამისად, ხაზი გაუსვას მომავალი ცხოვრების დაგეგმვის პროცესის წამოწყებას, გააცნოს მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ტრანზიციის პროცესის აქტუალობა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმით მოიაზრება ის, რომ დამრიგებელი ასაკის შესაბამისად მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე, რაც პირდაპირ კავშირშია ტრანზიციის პროცესთან: მოსწავლის პიროვნულ და მორალურ განვითარებაზე; მეწარმეობის უნარების განვითარებაზე; თვალსაწიერის გაფართოებაზე. საბაზო და სრული საშუალო განათლების საფეხურზე წელიწადში მინიმუმ ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს) აკეთებს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზს, მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე წერს **მოსწავლის მოკლე დახასიათებას**. დამრიგებელი მუშაობისას ეყრდნობა პრინციპს - მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა, პოტენციური ძალების ამოქმედება, ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა. „დახასიათებაში აღწერილი უნდა იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; დახასიათებაში ასევე გაანალიზებული უნდა იყოს ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია (ან არსებითია) მოსწავლის კოგნიტური (შემეცნებითი), ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის. ეს ინფორმაცია ყოველიურად უნდა მიეწოდოს მშობელს კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით (პირადი შეხვედრისას, ელექტრონული ფოსტის საშუალებით და სხვ.)” (ეროვნული სასწავლო გეგმა). ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია ტრანზიციის პროცესთან. მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გამახვილდეს

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საკითხზე, მათთვის ამ პროცესის მნიშვნელობასა და თანმიმდევრული მოქმედების აუცილებლობაზე.

ამავდროულად, სკოლაში ინკლუზიური განათლების სპეციალისტი (ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი) ასევე ადევნებს თვალყურს მე-7-12 კლასებში მყოფი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებისა თუ გადახედვის შეხვედრებს და სვამს ტრანზიციის მიმართულებით ფიქრის დაწყების საჭიროების საკითხს, არა საკითხის გადაწყვეტის, არამედ ფიქრისა და შესაბამისი მოქმედებების დაგეგმვის მიზნით; ამახვილებს ყურადღებას ტრანზიციის პროცესსა და გეგმაზე მშობლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან:

რა გეგმები აქვს ოჯახს? უფიქრიათ თუ არა ამ საკითხებზე? რამდენად ეხმიანება ისგ-ს მიზნები, სტრატეგიები და მიღწევის დინამიკა სამომავლო გეგმებს? რამდენად იცნობენ დასაქმების სხვადასხვა შესაძლებლობებს, პროფესიებს, რა გამოცდილებები ჰქონია ამ კუთხით მოსწავლეს? ხომ არ უნდა დაიგეგმოს პროფესიული გამოცდილების მისაღებად რაიმე აქტივობები? რით შეიძლება დაწყება / რა იქნება პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით?

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ტრანზიციის პროცესის ინიცირება უკავშირდება მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვის საკითხსაც, რადგან მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლის მიღწევების დინამიკაში განხილვა, მისთვის ცხოვრებაში გამოსადეგი, ფუნქციური მიზნებისა და საბაზო უნარ-ჩვევების დაუფლებაზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა.

რეკომენდებულია მოსწავლის ჩაბმა ამ პროცესში პროფესიული პორტფოლიოს წარმოებით, მცირე დავალებების შესრულებით, მაგალითად:

- მისი შეხედულებით საუკეთესო ნამუშევრების შეგროვება
- კითხვარების შევსება (თუნდაც, მასწავლებლის, დამრიგებლის, ფსიქოლოგის მიერ შექმნილი)
- ტესტების შევსება, როგორც საუბრის წამოწყების საფუძველი და არა როგორც ობიექტური ჭეშმარიტების საფუძველი (წყარო: <http://myprofession.ge/>) მაგ. პიროვნების საკვლევი კითხვარი
- პროფესიის შესახებ ინფორმაციის მოპოვება
- ა.შ.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ სწავლა-სწავლებისას დამხმარე საშუალებების (მაგალითად, გამომთვლელი მანქანა, აუდიო წიგნები, ბეჭდვა) გამოყენების მიმართ დამოკიდებულება ხშირად არ არის პოზიტიური და არ წარმოადგენს

ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებულ პრაქტიკას. შესაბამისად, სკოლის დონეზე ბუნდოვანი რჩება ის სტრატეგიები, რასაც ეფექტიანად იყენებენ კონკრეტული მოსწავლის განათლების პროცესში, განსაკუთრებით საბაზო უნარ-ჩვევებთან მიმართებით: წერა, კითხვა, ანაგარიში, თხრობა/კომუნიკაცია.

რეკომენდებულია ღრმად გაანალიზდეს თითოეული მოსწავლის მიღწევები, დაისახოს რეალისტური გეგმა უნარის თუ უნარ-ჩვევის გაუმჯობესების და ამავდროულად დაინერგოს ის მორგების სტრატეგია, რაც მიეხმარება მოსწავლეს აკადემიურ წინსვლაში. მაგალითად, როგორც წესი სკოლა ვერ უხსნის პროფესიულ სასწავლებელს როგორ მთავრობს ტექსტი, რათა მოსწავლემ შეძლოს მისი ათვისება დამუშავება. ასევე, მნიშვნელოვანია ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე და კომპეტენციაზე ყურადღების გამახვილება, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მომავლის დაგეგმვისა და დასაქმების კუთხით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ინდივიდუალური ტრანზიციის პროცესზე მუშაობის აუცილებლობა სკოლის მიტოვების პრევენციისათვის. პრაქტიკა აჩვენებს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (და არმქონე) მოსწავლეები ტოვებენ სკოლას დაბალი მოტივაციისა და შესაბამისად დაგროვილი გაცდენების გამო (მაგალითად 10-11 კლასიდან) ისე, რომ არ აქვთ განსაზღვრული რას აპირებენ მომავალში. ასეთ შემთხვევაში მაღალია რისკი იმისა, რომ მოსწავლეები დიდი ხნით დარჩნენ განათლების სისტემის მიღმა, რაც უფრო გაართულებს მათ სისტემაში დაბრუნების პროცესს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ გაწეული ინდივიდუალური სამუშაოს შედეგად სკოლის მიტოვების ნაცვლად მოსწავლე შეიძლება გადავიდეს პროფესიულ პროგრამაზე სასწავლებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება არ იყოს მოსწავლის პირველი პრიორიტეტი მნიშვნელოვანია რომ, მისი არჩევანი ეფუძნება ინფორმირებულ გადაწყვეტილებას.

როდესაც არსებობს სკოლის მიტოვების („drop out“) რისკი, ინდივიდუალურ ტრანზიციაზე მუშაობა შეიძლება გახდეს საგანმანათლებლო სივრციდან ხანგრძლივი გასვლის პრევენციის საფუძველი. შესაბამისად, *რეკომენდებულია*, ყველა იმ მოსწავლისათვის, ვინც სკოლის მიტოვების რისკის ქვეშაა, ინდივიდუალური ტრანზიციის პროცესის წამოწყება და განხორციელება სკოლის მიერ სავალდებულო იყოს მათთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტამდე.

კონსულტირება მცირე ჯგუფებში და ინდივიდუალურად

კონსულტირების მიზანია მოსწავლეს დაეხმაროს სამომავლო კარიერის დაგეგმვის პროცესის ერთ მთლიან და თანმიმდევრულ პროცესად დანახვაში; პროფესიული ცხოვრების რეალურ და მდგრად დაგეგმვაში, განათლების სფეროებსა და დასაქმების ადგილებში გარკვევასა და მათ არჩევაში. შესაბამისად, წასახალისებელია პროცესი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე ეცნობა ისეთ მასალას, რომელიც უკავშირდება:

1. განათლების/კვალიფიკაციების მიმართულებებს და შესაბამის დარგებს
2. საზოგადოებრივ მოწყობას
3. შრომის ბაზრის რუკას
4. საკუთარი თავის შემეცნებას
5. განაცხადის გაკეთების პროცესს

გაცნობასთან ერთად კი პროცესს მიმართულების მიცემაში ეხმარება მოსწავლესთან განხორციელებული კონსულტირების პროცესი: ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება; არჩევანის კეთების გავარჯიშება. ამ პროცესში შემდეგ გამოწვევებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი:

- პროცესის მართვაზე კონკრეტული პირის მიერ პასუხიმგებლობის აღება
- მიუკერძოებელი მიდგომა
- მოსწავლის თვით-შემეცნებაზე ორიენტირებული პროცესის წახალისება, ნაცვლად მზა პასუხებისა და პროცესის ერთპიროვნული მართვისა

პრაქტიკა აჩვენებს, რომ გასაძლიერებელია კონსულტირების კომპონენტი როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში. აღნიშნული პროცესი, როგორც წესი სწრაფი, ზედაპირული და უპირატესად სპეციალისტის მიერაა წარმართული.

რეკომენდებულია, კონსულტირების კომპეტენციის გაზრდა სპეციალისტებში, რაც მათ დროში მეტად ორგანიზებული, მოსწავლეზე/აპლიკანტზე ორიენტირებული და სიღრმისეული პროცესის წარმართვის შესაძლებლობას მისცემთ, სადაც ე.წ. „რჩევის მიცემის“ შემთხვევები, სულ მცირე, განმტკიცებული იქნება შესაბამისი არგუმენტებით/საფუძვლით. რეკომენდებულია ამ მხრივ სპეციალისტების მომზადება და მხარეთა კომპეტენციების განსაზღვრა: ვინ/რა არის ამა თუ იმ პროფესიაზე სანდო ინფორმაციის წყარო; რა შედის კონსულტირების სამოქმედო ფარგლები და სცდება მას;

პროფესიული ვიზიტის დაგეგმვა

არსებული გამოცდილების მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასა თუ დასაქმების ადგილებში ვიზიტებისას ინდივიდუალურად დაგეგმილი კომპონენტი ჯგუფურ ვიზიტთან შედარებით გაცილებით უფრო წარმატებულია, რადგან შესაძლებელი ხდება სიღრმისეული წვდომა იმ დარგისა, რომლის გაცნობაც სურს მოსწავლეს პრაქტიკის ადგილზე; ასევე შესაძლებელია მოსწავლის ჩართულობაზე, მის ინტერესზე და მოტივაციაზე დაკვირვება, შემდეგი რეფლექსიის პროცესის წახალისებისთვის უკუკავშირის მასალის შეგროვება, საჭირო დროისა და ყურადღების დათმობა.

ჯგუფური ვიზიტებისას, როდესაც პროფესიულ სასწავლებელში ან დასაქმების ადგილზე მიდის თუნდაც 9 მოსწავლე, მიყვება დაინტერესებული 2-3 მშობელი, 2-3 სპეციალისტი და ან ასისტენტი, შედეგად იქმნება საკმაოდ დიდი ჯგუფი, რა დროსაც რთული ხდება თითოეული მოსწავლის ჩართულობის ხარისხზე დაკვირვება, ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, შეეხოს პრაქტიკულ მასალას და გარემოს და მიიღოს საჭირო გამოცდილება.

რეკომენდებულია ვიზიტების დაგეგმვა ინდივიდუალურად ან მცირე დაინტერესებულ ჯგუფში განსაკუთრებით საფეხურის ბოლო კლასებში. გამოცდილების მიხედვით, საკმაოდ კარგი შედეგი აქვს, როდესაც პროფესიული სასწავლებლის პრაქტიკის მასწავლებელი ხელს უწყობს თავად პროფესიული სტუდენტების ჩართვას სკოლის მოსწავლეებისთვის სასწავლო ამოცანების დემონსტრირებაში. ასევე ამართლებს, როდესაც მოსწავლეს შესაბამისი დროის მანძილზე (მაგალითად, ერთი კვირა ან კვირაში ერთი დღე 10 კვირის განმავლობაში) პროფესიულ სასწავლებლებში ანდა დასაქმების ადგილზე „მამიებლად“ სიარულის შესაძლებლობა ეძლევა. აღნიშნული უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ როგორც დარგის, ასევე, დარგთან მიმართებაში საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გაცნობას, რაც თავის მხრივ, მოსწავლეს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში უწყობს ხელს.

შეჯამება

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ სასურველია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის (და მათი ოჯახებისათვის) შეიქმნას მრავალფეროვანი საინფორმაციო მასალა (რგოლი, ელ. რესურსი, ბროშურა და სხვა), რაც მარტივად და სრულად ხსნის პროფესიულ სასწავლებელში მიღებისა და შესაძლო მომსახურების შესახებ ინფორმაციას.

მიუხედავად იმისა, აქვს მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი და სწავლობს თუ არა ის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, მნიშვნელოვანია დამრიგებელმა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა ყურადღება გაამახვილონ განათლების სისტემის მიღმა აღმოჩენის რისკის ქვეშ მყოფ მოსწავლეებზეც.

ინდივიდუალური ტრანზიციის პროცესის დაგეგმვა და მართვა კომპლექსური და თითოეული მოსწავლის შემთხვევაში, უნიკალური პროცესია; შესაბამისად, არსებითია ამ პროცესში ჩაბმული მხარეები იყვნენ ღია, მოქნილი, ხელმძღვანელობდნენ მოსწავლის საუკეთესო ინტერესებით და რთავდნენ პროცესში იმ მხარეებს/პარტნიორებს, ვინც მეტად კომპეტენტური შეიძლება იყოს მოსწავლეთა პროფესიულ განათლებაში გადასვლასთან დაკავშირებულ საკითხებში.

დანართი - ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა (იტგ)

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის (იტგ) დოკუმენტი სკოლებისთვის			
სკოლა:	მოსწავლის სახელი და გვარი:	კლასი:	თარიღი:
ძირითადი მიზანი:			
შუალედური მიზნები:			
მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები:			
<i>აქტივობა/ები</i>	<i>პასუხისმგებელი პირი</i>	<i>ვადა</i>	
პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:			
დამატებითი შენიშვნა:			

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011-2016. ეროვნული სასწავლო გეგმა

Transition Planning for Student with Special Needs: The Early Years Through to Adult Life. 2005. Nova Scotia. Department of education. Student Services Division.

European Agency for Development in Special Needs Education. 2006. Individual Transition Plans. Supporting the move from school to employment.

Department of Education and Sceinec. 2007. Inclusion of Student with Special Educational Needs: Post-Primary Guidlenes. Dublin.